

შპს ბი.აი.ჯი
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის

სარჩევი

მოგება ზარალის ანგარიშგება 2022-2023 წ.წ.	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022-2023 წ.წ.	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2022-2023 წ.წ.	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები და ზოგადი ინფორმაცია	6-

შპს ბი.აი.ჯი.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022-2023 წ.წ. 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

დამრგვალება ერთეულ ლარამდე

საქმიანობის შედეგები	საანგარიშგებო პერიოდი 2023 წ.	საანგარიშგებო პერიოდი 2022 წ.
ამონაგები სულ:	6 455 020	6 007 065
მ.შ.საქონლის გაყიდვიდან	39 322	0
მომსახურების გაწევიდან	6 415 698	6 007 065
რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) თვითღირებულება	(5 254 194)	(5 748 803)
საერთო მოგება:	1 200 826	258 262
შრომის ანაზღაურება:	(132 351)	(117 145)
ცვეთა და ამორტიზაცია:	(74 706)	(76 410)
ტრანსპორტიების შენახვის ხარჯები:	(14 742)	(13 827)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:	(17 761)	(7207)
სოპერაციო მოგება:	961 266	43673
სხვა შემოსავალი:	0	0
არასაოპერაციო შემოსავალი (საკუროსო სხვაობა, ნეტო)	415	0
მოგება გადასახადებამდე და ფინანსურ დანახარჯებამდე	961 681	43673
გადახდილი მოგების გადასახადი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	(38 622)
მოგება დაბეგვრის შემდეგ	961 681	5 051
მოცემული წლის სრული შემოსავალი	961 681	5 051

შპს ბი.აი.ჯი.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022-20223 წ.წ. 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

დამრგვალება ერთეულ ლარამდე

	საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2023 წ	საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2022
აქტივები:		
მიმდინარე აქტივები:		
ფული და ფულის ექვივალენტები:	2 939	8 553
მოთხოვნები მიოდებიდან და მომსახურებიდან	1 760 945	534 167
გადახდილი ავანსები და მისლები შემოსავლები:	571 500	35045
სხვა მიმდინარე აქტივები (საგადასახადო აქტივი)	4 957	106 997
სულ მიმდინარე აქტივები:	2 340 341	684 762
სასაქონლო მატერიალური მარაგი	580 410	678 139
სულ სასაქონლო მარაგი	580 410	678 139
სულ მოკლევადიანი აქტივები	2 920 751	1 362 901
მანქანა-დანადგარები	339 841	355 101
ოფისის აღჭურვილობა	3 337	1 253
ავეჯი და სხვა ინვენტარი	41 213	74 873
სატრანსპორტო საშუალებები	13 027	15 002
სულ გრძელვადიანი აქტივები	397 418	446 229
სულ აქტივები	3 318 169	1 809 130
კაპიტალი და ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	191 954	109 275
მიღებული ავანსები	0	0
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ:	0	0
აკუმულირებული საგადახდო ვალდებულება:	0	0
სულ მიმდინარე ვალდებულებები:	191 954	109 275
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	3 092 050	2 672 112

დაგროვილი მოგება-ზარალი	34 165	(972 257)
სულ საკუთარი კაპიტალი	3 126 215	1 699 855
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3 318 169	1 809 130

=4=

შპს ბი.აი.ჯი.

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

2020 წ. 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

დამრგვალება ერთეულ ლარამდე

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მიმდ. წლის მოგება-ზარალი	გადახდილი დივიდენდი	სულ საკუთარი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	0	0	0	0
2019 წლის კაპიტალის ცვლილება	260 000	0	(214 739)	0	45 261
2020 წლის კაპიტალის ცვლილება	530 000	85 773	85 773	0	875 773
2021 წლის კაპიტალის ცვლილება	1 422 112	(1 080 450)	(197 312)	0	1 131 662
2022 წლის კაპიტალის ცვლილება	460 000	(972 257)	5 051	0	1 699 855
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	2 672 112	(972 257)	5051	0	1 699 855
2023 წლის კაპიტალის ცვლილება	419 938	10 576	961 681 23 589	0	3 102 626
2023 სხვა ცვლილება					
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	3 092 050	34165	961 681	0	3 126 215

შპს ბი.აი.ჯი.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წ.წ. 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი
შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ბი.აი.ჯი.“ წარმოადგენს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად
შეზღუდული პასუხისმგებლობის იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნდა და
ამავდროულად დარეგისტრირდა დღგ-ს გადამხდელად 2019 წლის 15 აპრილს.

საიდენტიფიკაციო ნომერი: 400264272

მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის
რაიონი, გლდანის მასივი, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 72, ბინა 179

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი
ბინების მშენებლობა.

კომპანიის სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს, რომელიც იწყება 1 იანვრიდან
(რეგისტრაციის წელს, რეგისტრაციის თარიღიდან) და მთავრდება იმავე წლის 31 დეკემბერს.

ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორი და წილობრივი მფლობელობა
გამოიყურება შემდეგნაირად:

დირექტორები:

1. მოსე ჭეიშვილი პ/ნ 01001021545

წილის მფლობელები
2023 წლის დასაწყისში

1. ირაკლი ჭეიშვილი, პ/ნ 01001030790
2. ლალი მჭავანაძე პ/ნ 01801114667

ფლობილი წილის ოდენობა 20 %
ფლობილი წილის ოდენობა 80 %

2023 წლის 31 დეკემბერი;

1. ლალი მჭავანაძე პ/ნ 01801114667

ფლობილი წილის ოდენობა 100 %

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ანგარიშგების პრინციპი

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი) ფუნქციონირებადი

=6=

შეფასების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. მონაცემები დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე რეგისტრაციის წელს რეგისტრაციის თარიღიდან 31 დეკემბრამდე. ფუნქციონირებადი საწარმოს აღრიცხვის პრინციპით.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია შემოსავლების სარწმუნო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარება ხდება შემდეგი პირობების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდგომ:

საქონლის რეალიზაცია

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2023 წელს აღმოჩენილია წინა პერიოდების მექანიკური შეცდომის აღმოჩენა (2020-2021 წ.წ.) რამაც გამოიწვია ხარჯების ნაწილში კორექტირება, რის საფუძველზეც გაიზარდა დაგროვილი მოგება

=7=

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული მომსახურების ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან აქტივებად კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის რომელიც დაფუძნებულია შემდგომზე:

აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

1. მოსალოდნელია ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან გამოყენება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
2. მისი ფლობის ძირითადი მიზანია საოპერაციო საქმიანობის განხორციელება
3. მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში
4. აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან/და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა/გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

1. მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში

2. მისი ფლობის ძირითადი მიზანია საოპერაციო საქმიანობის განხორციელება
3. დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში
4. ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით ყველა დანარჩენი ვალდებულება გრძელვადიანია.

გადასახადები

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის გარდა:

1. თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კოდექსის, კანონისა და კანონქვემდებარე აქტის თანახმად დაბრუნებას, ამ შემთხვევაში დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში .

=8=

ქონების გადასახადი

ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, კომპანიის საკუთრებაში არსებული გრძელვადიანი აქტივები, ქონების კუთვნილი გადასახადი გაიანგარიშება წელიწადში ერთხელ ქონების საშუალო წლიური საბალანსო ღირებულებიდან და წელიწადში ერთხელ გასული წლის გადასახადის ოდენობით მიმდინარე გადასახადის სახით.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

დაქირავებულ პირთა ხელფასი

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენტთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ სტანდარტის რომელიმე თავი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში. ანალოგიურად, ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით, რასაც აკლდება ცვეთა და გაუფასურება.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით.

თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული წესისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

=9=

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, თუ იგი ცვლის აქტივს არსებულ მახასიათებლებს, წარმადობას ან მომსახურების ვადებს. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში და აღიარდება მიმდინარე მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში-ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით. მანქანა დანადგარებზე და სხვა სატრანსპორტო საშუალებებზე გამოყენებულია სალიკვიდაციო ღირებულება რც დაფუძნებულია, მისი მომსახურების გასვლის შემდგომ ჯარტის სახით გაყდვის საბაზრო ღირებულებით.კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები და მათი სასარგებლო გამოყენების ვადები

ძირითადი საშუალებები

მანქანა დანადგარები

სატრანსპორტო საშუალებები

ოფისის აღჭურვილობა

ავეჯი და სხვა ინვენტარი

სასარგებლო გამოყენების ვადა

10 წელი

10 წელი

3-5 წელი

3-5 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. (გაუფასურების ან დაზიანების შემთხვევაში ფასთა შორის სხვაობა მოხვდება მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში). თვითღირებულება მოიცავს შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა დაბრუნებადი გადასახადებისა,), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და ყველა იმ დანახარჯს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. (ყველა ხარჯს დასაწყობებამდე).

მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით და აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით. გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დამტკიცებულია და ხელოწერილია

დირექტორი: მოსე ჭეიშვილი

მ. ჭეიშვილი

